



IBSU

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ხარისხის მართვის სისტემის დოკუმენტაცია

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 18/01/2018 წ. - ოქმი №1 (დანართი №8)

დამტკიცებულია

ქვემოთ მოცემული ხელმოწერები ადასტურებს, რომ აღნიშნული ინსტრუქცია წაკითხული და მიღებულია ხელმოწერის ავტორები ადასტურებენ, რომ ისინი ნამდვილად ფლობენ წინამდებარე დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას და უზრუნველყოფენ მასში ასახული პირობების განხორციელებას.

მოამზადა: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური _____

შეამოწმა: იურიდიული სამსახური _____

დაამტკიცა: აკადემიური საბჭო _____

დოკუმენტის No: IBSU.R36.I2.G

ვერსია: 2.00

განახლების თარიღი:
19/03/2018

დამტკიცების თარიღი:
18/01/2018

შეუმოწმებელი ვერსია შემოწმებული ვერსია

შოსუ-ს კუთვნილი დოკუმენტაცია.

წინამდებარე დოკუმენტით სარგებლობამდე, დარწმუნდით, რომ დოკუმენტს აქვს ბოლო განახლების ნომერი ხარისხის მართვის დოკუმენტაციის პლატფორმაზე მისი შემოწმების გზით. ცვლილებების მოთხოვნის შემთხვევაში, მიმართეთ დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელ ერთეულს.

შინაარსი

შეტანილი ცვლილებები:..... 3

თავი I. ზოგადი დებულებები 5

მუხლი 1. რეგულირების სფერო 5

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება..... 5

მუხლი 3. ზოგადი ინფორმაცია 7

მუხლი 4. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრა..... 10

მუხლი 5. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია 10

თავი II. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა 11

მუხლი 6. ზოგადი ინფორმაცია 11

მუხლი 7. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, კრედიტების განაწილება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია..... 11

მუხლი 8. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები 13

თავი III. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა 15

მუხლი 9. ზოგადი ინფორმაცია 15

მუხლი 10. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, კრედიტების განაწილება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია..... 15

მუხლი 11. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები 16

თავი IV. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა 17

მუხლი 12. ზოგადი ინფორმაცია 17

მუხლი 13. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, კრედიტების განაწილება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია..... 17

მუხლი 14. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები 18

თავი V. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი 19

მუხლი 15. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება 19

მუხლი 16. საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილები..... 20

მუხლი 17. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება 23

მუხლი 18. საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილება..... 24

მუხლი 19. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება 24

მუხლი 20. დასკვნითი დებულებები 25

შეტანილი ცვლილებები:

#	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	ოქმი №	თარიღი
1.	აკადემიური საბჭო	6	19.03.2018

თავდაპირველი ვერსია: 18.01.2018

ცვლილებების ნუსხა

#	თარიღი	მუხლი	შენიშვნა
01	19.03.2018	5	კონტიგენტის განსაზღვრის ფორმულა

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

- 1.1. წინამდებარე ინსტრუქცია არეგულირებს შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“-ს (შემდგომში „უნივერსიტეტი“/„შსსუ“) უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), არსებული საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე დამოუკიდებლად არსებული საგანმანათლებლო პროგრამის - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა) საგანმანათლებლო შემუშავების წესს.
- 1.2. უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამები ემსახურება უნივერსიტეტის მისიის განხორციელებას, სტუდენტებისათვის შესაბამისი აკადემიური ცოდნის მიცემისა და შემდგომში პროფესიული განვითარებისა და დასაქმებისათვის საჭირო თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებაში ხელშეწყობის მეშვეობით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

- 2.1. აკადემიური უმაღლესი განათლება—უმაღლესი განათლების კურსი, რომელიც შეიცავს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებს;
- 2.2. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო—ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შემადგენელი დოკუმენტი, რომელშიც სისტემატიზებულია საქართველოში არსებული უმაღლესი განათლების ყველა კვალიფიკაცია;
- 2.3. აკადემიური ხარისხი—კვალიფიკაცია, რომელსაც პირს აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დამთავრებისას ანიჭებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;
- 2.4. კვალიფიკაცია—სწავლის შედეგი, რომელიც მიიღწევა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამლევით და დასტურდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დიპლომით ან სერტიფიკატით;
- 2.5. კრედიტი—ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;

- 2.6. **მოდული–სწავლების დამოუკიდებელი თანმიმდევრული ბლოკი**, რომელიც აერთიანებს მონათესავე საგნებს. მოდულში განსაზღვრულია საგანთა ურთიერთკავშირები და თანმიმდევრობა. რამდენიმე მოდული შეადგენს სასწავლო გეგმას;
- 2.7. **საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი)**–უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები;
- 2.8. **საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები** – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებია სასწავლო კომპონენტი და სამეცნიერო-კვლევითი/კვლევითი კომპონენტი;
- 2.9. **სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი)**–დოკუმენტი, რომელიც იძლევა ინფორმაციას სასწავლო კურსის/მოდულის მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტების, შინაარსის, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, შეფასების კრიტერიუმების შესახებ;
- 2.10. **სასწავლო კომპონენტი** – საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სასწავლო კურსის, მოდულის, პრაქტიკის, შემოქმედებითი/ პრაქტიკული სახის პროექტის, საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის ან სხვა კომპონენტის სახით;
- 2.11. **სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი** – მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სამაგისტრო პროექტი/ნაშრომის, დისერტაციის ან შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის/ექტივობის სახით;
- 2.12. **საკონტაქტო საათი** – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისათვის განსაზღვრული დრო;
- 2.13. **დამოუკიდებელი საათი** – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო;

- 2.14. **სტუდენტის სასწავლო დატვირთვა** – დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა უნდა ეფუძნებოდეს დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს;
- 2.15. **სწავლება-სწავლის მეთოდი** – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის, ცოდნის გადაცემის საშუალება, როგორცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ., წავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.);
- 2.16. **სწავლის შედეგები**-საგანმანათლებლო პროგრამის, მოდულის, სასწავლო კურსის დასრულების შედეგად სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნა და შეძენილი უნარები.

მუხლი 3. ზოგადი ინფორმაცია

- 3.1. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით განისაზღვრება შესაბამის საფეხურზე მისაღწევი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების დონე, რაც მოიცავს ექვს კრიტერიუმს:
 - 3.1.1. ცოდნა და გაცნობიერება;
 - 3.1.2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
 - 3.1.3. დასკვნის უნარი;
 - 3.1.4. კომუნიკაციის უნარი;
 - 3.1.5. სწავლის უნარი;
 - 3.1.6. ღირებულებები.
- 3.2. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოსა და შესაბამის დარგობრივ დოკუმენტზე დაყრდნობით (არსებობის შემთხვევაში), უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, ხორციელდება ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება. საგანმანათლებლო პროგრამის, ასევე სასწავლო კურსისა თუ მოდულის სწავლის შედეგები აღიწერება დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით.

- 3.3. უმაღლესი განათლების საფეხურები, სწავლის შედეგების მიხედვით, აღწერილია იერარქიულად. უმაღლესი განათლების ყოველი მომდევნო საფეხური გულისხმობს წინა საფეხურზე მიღებული სწავლის შედეგების საფუძველზე დამატებითი სწავლის შედეგების მიღწევას.
- 3.4. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში/შედგენაში მონაწილეობას იღებენ შესაბამისი მიმართულების პროფესორები/ასოცირებული პროფესორები, დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირები. პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულია აკადემიური პერსონალი, დარგის სპეციალისტ-პრაქტიკოსები, დამსაქმებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და სხვა დაინტერესებული პირები.
- 3.5. საგანმანათლებლო პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს, მის საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებსა და შხსუ-ს საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების მოთხოვნებს.
- 3.6. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უნდა უზრუნველყოფდეს მისი შემადგენელი კომპონენტების ლოგიკურ კავშირს და გათვლილი იყოს საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის შესაძლებლობებზე მიერ სწავლის შედეგების გონივრულ ვადაში მიღწევისათვის;
- 3.7. პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს, არჩევითი კომპონენტებისათვის განკუთვნილი კრედიტების ფარგლებში, სასწავლო კურსების იმ ოდენობას, რომ უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების მიერ არასავალდებულო კომპონენტების არჩევის შესაძლებლობა;
- 3.8. პროგრამის კომპონენტის მოცულობა განისაზღვრება მისი შინაარსის, სწავლის შედეგებისა და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები უნდა ითვალისწინებდეს დარგის სპეციფიკას და უზრუნველყოფდეს პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევას;
- 3.9. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განვითარებისა და გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, შესაბამისი პირების მიერ გათვალისწინებულ უნდა იქნეს შრომის ბაზრის მოთხოვნები, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების

მონიტორინგის შედეგები, საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკა, საჭირო მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსი, პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვის დინამიკა, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, მათ შორის სპეციალობით.

- 3.10. საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი კომპონენტების - სასწავლო და კვლევითი კომპონენტის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის გამოსახატად გამოიყენება ECT საკრედიტო სისტემა. კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში.
- 3.11. საგანმანათლებლო პროცესი საბაკალავრო საფეხურზე, ჩვეულებრივ, მოიცავს 8 სემესტრს, სამაგისტრო საფეხურზე 4 სემესტრს, ხოლო სადოქტორო საფეხურზე 6 სემესტრს, გარდა უნივერსიტეტის დებულებებით დადგენილი შემთხვევებისა.
- 3.12. პროგრამის სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სავალდებულო და არჩევით კომპონენტებს (სასწავლო კომპონენტი, კვლევითი კომპონენტი).
- 3.13. უნივერსიტეტში ერთი და იგივე შინაარსის, მოცულობისა და სწავლის შედეგების მქონე სასწავლო კომპონენტი ყველა პროგრამის სტუდენტისათვის მოიცავს თანაბარი რაოდენობის კრედიტებს.
- 3.14. საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია, სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 კრედიტს.
- 3.15. კრედიტების განაწილება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს შორის (როგორცაა: მოდული, სასწავლო კურსი, პრაქტიკა, დისერტაცია და სხვ.). სასწავლო კომპონენტი არის ერთსემესტრიანი.

- 3.16. კრედიტთა განაწილება სხვადასხვა კომპონენტებს შორის უნდა ეფუძნებოდეს საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დადგენილი სწავლის შედეგის მისაღწევად. კრედიტების განაწილების სისწორე უნდა შემოწმდეს სტუდენტის რეალური დატვირთვის შესახებ სრული ინფორმაციის შეგროვებითა და ანალიზით, რაშიც პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სტუდენტების მონაწილეობა.
- 3.17. კრედიტი არ შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს მხოლოდ სტუდენტის მიერ პროფესორ-მასწავლებლებთან სასწავლო გარემოში გატარებული საათების (საკონტაქტო საათების) მიხედვით.

მუხლი 4. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრა

- 4.1. პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დაგეგმვისას, თითოეულ პროგრამაზე გათვალისწინებულ უნდა იქნეს შესაბამისი მატერიალური რესურსის არსებობა, სტუდენტთა არსებული და მისაღები კონტინგენტი, პროგრამის სპეციფიკა.
- 4.2. საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად რეკომენდებულია, თითოეული მიმართულების სულ მცირე 3 აფილირებული აკადემიური პერსონალით უზრუნველყოფა, ხოლო რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში თითოეული დარგის/ქვედარგის შესაბამისი აფილირებული აკადემიური პერსონალით უზრუნველყოფა.

მუხლი 5. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია

- 5.1. თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმისათვის გათვალისწინებულ უნდა იქნეს შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსების არსებობა, შრომის ბაზრის მოთხოვნები, სტუდენტთა პროგრამაზე ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა/აღდგენის, პროგრამის დასრულებისა და დასაქმების (მათ შორის სპეციალობით) დინამიკა.
- 5.2. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის პროცესში გამოიყენება R36I02.F02 -თ განსაზღვრული ფორმულა.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით - ოქმი #6

თავი II. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

მუხლი 6. ზოგადი ინფორმაცია

- 6.1. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ბაკალავრიატი არის აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის.
- 6.2. ბაკალავრიატში სწავლის მიზანია სრულ ზოგად განათლებაზე უფრო მაღალი დონის პროფესიულ მომზადებასთან ერთად სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტების შედარებით ღრმა ათვისება, რაც კვლევითი ხასიათის პროგრამებით ამზადებს პირს მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისა და მუშაობისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.
- 6.3. ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები. მიღების განსხვავებული პირობები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და შსს-ის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

მუხლი 7. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, კრედიტების განაწილება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია

- 7.1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240 ECTS კრედიტს, წელიწადში - 60 ECTS კრედიტს, სემესტრში - 30 ECTS კრედიტს. ხოლო ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში დასაშვებია არაუმეტეს 75 ECTS კრედიტისა. პროგრამა ასევე მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტს (საბაკალავრო ნაშრომი/პრაქტიკული ხასიათის პროექტს (პრაქტიკა)).
- 7.2. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტს შეუძლია ძირითადი სპეციალობის (არანაკლებ 120 კრედიტი) და დამატებითი სპეციალობის (სასურველია 60 კრედიტი) კომბინირება შემდეგი სახით:
 - 7.2.1 ძირითადი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები;
 - 7.2.2 ძირითადი სპეციალობა, დამატებითი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები;

7.2.3 ძირითადი და ორი დამატებითი სპეციალობა

- 7.3. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში სასურველია გათვალისწინებულ იქნეს საინფორმაციო ტექნოლოგიების, აკადემიური წერისა და უცხო ენის სასწავლო კომპონენტები. ამასთან, იმ პროგრამებზე, რომლებისთვისაც გათვალისწინებულია დამატებითი სპეციალობა (60 კრედიტი), სტუდენტებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, დამატებითი სპეციალობისათვის განკუთვნილი კრედიტები შეავსონ მათთვის სასურველი თავისუფალი კრედიტებით.
- 7.4. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებული მოკლე ციკლის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „შუალედური კვალიფიკაცია“, მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით. შუალედური კვალიფიკაციის მინიჭება დასაშვებია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილის გავლისთვის დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რომელიც არ შეიძლება იყოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ნახევარზე ნაკლები. სტუდენტს ენიჭება შუალედური კვალიფიკაცია იმ შემთხვევაში, თუ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არანაკლებ 240 კრედიტიდან ათვისებული აქვს არანაკლებ 120 კრედიტი, მათ შორის ძირითადი (საკვალიფიკაციო) პროგრამის არანაკლებ 120 კრედიტიდან ათვისებული აქვს არანაკლებ 60 კრედიტი.
- 7.5. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „ბაკალავრი“ შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით.
- 7.6. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტის მომზადებაზე შესაბამისი რეგულირებადი პროფესიისათვის. საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 75% ეთმობა რეგულირებადი პროფესიისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას.
- 7.7. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, ან ხორციელდება დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამის სახით, რომელიც ისწავლება არანაკლებ 1 სასწავლო წლის განმავლობაში და მოიცავს 60 კრედიტს.

მუხლი 8. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები

- 8.1. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატი) და ასევე პირველი საფეხურის ფარგლებში არსებული მოკლე ციკლის სწავლის შედეგები დაფუძნებულია სრული ზოგადი განათლების სწავლის შედეგებზე.
- 8.2. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ფარგლებში არსებული მოკლე ციკლის სწავლის შედეგებია:
 - 8.2.1 ცოდნა და გაცნობიერება – სფეროს მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობების (საზღვრების) გაცნობიერება;
 - 8.2.2 ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად;
 - 8.2.3 დასკვნის უნარი – მკაფიოდ გამოკვეთილი პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება;
 - 8.2.4 კომუნიკაციის უნარი – იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მრავალმხრივად გამოყენება. უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა;
 - 8.2.5 სწავლის უნარი – საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში;
 - 8.2.6 ღირებულებები – პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან თავისი და სხვათა დამოკიდებულების შეფასება და სხვებისთვის გაზიარება.
- 8.3. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) სწავლის შედეგებია:

- 8.3.1 ცოდნა და გაცნობიერება – სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება;
- 8.3.2 ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- 8.3.3 დასკვნის უნარი – სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;
- 8.3.4 კომუნიკაციის უნარი – იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება;
- 8.3.5 სწავლის უნარი – საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;
- 8.3.6 ღირებულებები – ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.

თავი III. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

მუხლი 9. ზოგადი ინფორმაცია

- 9.1. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მაგისტრატურა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური, რომელიც მოიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევრის მომზადებას, აგრეთვე პირს ამზადებს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.
- 9.2. მაგისტრატურაში სწავლის მიზნებია:
 - 9.2.1 სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მომზადება;
 - 9.2.2 სპეციალობის შეცვლა (გარდა რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამისა);
 - 9.2.3 კვალიფიკაციის ამაღლება.
- 9.3. მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. პროგრამაზე მიღების წინაპირობაა საერთო სამაგისტრო გამოცდები. მიღების დამატებითი პირობები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და შსს-ის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

მუხლი 10. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, კრედიტების განაწილება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია

- 10.1. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 ECTS კრედიტს, წელიწადში - 60 ECTS კრედიტს, სემესტრში - 30 ECTS კრედიტს. ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში დასაშვებია არაუმეტეს 75 ECTS კრედიტისა.
- 10.2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „მაგისტრი“, შესაბამისი მიმართულების, დარგის/სპეციალობის ან/და ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით. სამაგისტრო პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტსა და დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე შემუშავებულ საკვალიფიკაციო ნაშრომს. სასურველია, სამაგისტრო პროგრამა შედგებოდეს პრაქტიკული კომპონენტისგანაც.

- 10.3. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს კვლევით კომპონენტს - სამაგისტრო ნაშრომს, 30 ECTS კრედიტის ოდენობით. მისი შემუშავება და საჯაროდ დაცვა ხორციელდება დამამთავრებელ სემესტრში. გარდა ამისა, პროგრამა შეიძლება ითვალისწინებდეს დამატებით კვლევით კომპონენტსაც.

მუხლი 11. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები

- 11.1. უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურის) სწავლის შედეგებია:

- 16.1.1. ცოდნა და გაცნობიერება – აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს;
- 16.1.2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
- 16.1.3. დასკვნის უნარი – რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი;
- 16.1.4. კომუნიკაციის უნარი – თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით;
- 16.1.5. სწავლის უნარი – სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე;
- 16.1.6. ღირებულებები – ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

თავი IV. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

მუხლი 12. ზოგადი ინფორმაცია

- 12.1. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დოქტორანტურა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხური, რომლის საგანმანათლებლო პროგრამები წარმოადგენს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობას, მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.
- 12.2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს დოქტორანტს სამეცნიერო ხელმძღვანელით, უქმნის პირობებს სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული სამუშაოს ჩასატარებლად, რომელიც უნდა მოიცავდეს დასაბუთებულ თეორიულ ან/და ექსპერიმენტულ შედეგებს, ხელს უწყობს დოქტორანტის ინტეგრაციას მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში.
- 12.3. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მიღების წინაპირობა განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და შსსუ-ის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

მუხლი 13. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, კრედიტების განაწილება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია

- 13.1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 180 ECTS კრედიტს, წელიწადში - 60 ECTS კრედიტს, სემესტრში - 30 ECTS კრედიტს. ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში დასაშვებია არაუმეტეს 75 ECTS კრედიტისა.
- 13.2. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „დოქტორი“, მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს. იგი სრულდება დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე საკვალიფიკაციო ნაშრომის შემუშავებითა და საჯარო დაცვით.
- 13.3. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო და კვლევით კომპონენტებს შორის რეკომენდებული განაწილებაა:
 - 13.1.1 სასწავლო კომპონენტი - 60 ECTS კრედიტი;

13.1.2 კვლევითი კომპონენტი - 120 ECTS კრედიტი.

13.4. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების კრედიტების ჯამური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 60 კრედიტს.

მუხლი 14. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები

14.1. უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის (დოქტორანტურის) სწავლის შედეგებია:

- 14.1.1. ცოდნა და გაცნობიერება – დარგის/ქვედარგის ან დარგთაშორისი სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე). არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება;
- 14.1.2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა; შემუშავება ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომებისა, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;
- 14.1.3. დასკვნის უნარი – ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა; პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;
- 14.1.4. კომუნიკაციის უნარი – ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე;
- 14.1.5. სწავლის უნარი – უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში;
- 14.1.6. ღირებულებები – ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.

თავი V. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი

მუხლი 15. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

- 15.1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხორციელდება ინიციატორის მიერ (უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ან პროფესორი), რომელიც პროგრამის დამტკიცების შემთხვევაში, ხდება პროგრამის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელია პროგრამის დაგეგმვაზე, მის განხორციელებაზე, შემდგომ განვითარებასა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებთან და კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.
- 15.2. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცებისათვის საჭიროა შემდეგი ეტაპების გავლა:
 - 15.1.1. პირველი ეტაპი - ადმინისტრაციული საკითხების განხილვა. ინიციატორი ახალი პროგრამის შემუშავების შესახებ წინადადებას განიხილავს ფაკულტეტის საბჭოზე, (სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში დამატებით სამაგისტრო და სადოქტორო ინსტიტუტის საბჭოზეც) და მმართველ საბჭოზე. აღნიშნული საბჭოების მიერ ინიციატორის წინადადების მოწონების შემთხვევაში, პროგრამის შემუშავების პროცესი გადადის მეორე ეტაპზე.
 - 15.1.2. მეორე ეტაპი - აკადემიური საკითხების განხილვა. პირველი ეტაპის დასრულების შემდგომ, პროგრამის შინაარსობრივი მხარის განხილვა ხდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საბჭოზე, ხოლო შემდგომ, ფაკულტეტის საბჭოზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს მიერ პროგრამის პროექტის მოწონების შემთხვევაში, მისი დამტკიცდება ხდება აკადემიურ საბჭოზე.
- 15.3. საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიურ საბჭოზე დამტკიცების შემდგომ, შსს-ს მიერ პროგრამის დამატება ხორციელდება ავტორიზაციის ან ავტორიზაციის წლიური თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ან აკრედიტაციის გზით კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 15.4. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებისას, როდესაც ახალი პროგრამა ძველი პროგრამ(ებ)ის გადამუშავების/გაერთიანების შედეგად იქმნება, მისი დამტკიცებისათვის ხორციელდება მხოლოდ წინამდებარე მუხლის 15.2.2 პუნქტით განსაზღვრული პროცედურა.

მუხლი 16. საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილები

- 16.1. საგანმანათლებლო პროგრამა უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას (დანართი №3 (IBSU.R36I02I01G) შესაბამისად:
- 16.1.1. **თავფურცელი** [დანართი №1 (IBSU.R36I02I01G) შესაბამისად]
 - 16.1.2. **მიმართულება:** [უნდა მიეთითოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად.]
 - 16.1.3. **დარგი/სპეციალობა:** [უნდა მიეთითოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად.]
 - 16.1.4. **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** [უნდა მიეთითოს სახელწოდება სრულად, ქართულად და ინგლისურად.]
 - 16.1.5. **ფაკულტეტი:** [უნდა მიეთითოს ის ფაკულტეტი, რომელიც სთავაზობს საგანმანათლებლო პროგრამას.]
 - 16.1.6. **საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი:** [უნდა მიეთითოს ვინაობა, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია.]
 - 16.1.7. **განათლების საფეხური:** [ბაკალავრიატი (უმაღლესი განათლების I საფეხური)/ მაგისტრატურა (უმაღლესი განათლების II საფეხური)/დოქტორანტურა (უმაღლესი განათლების III საფეხური)]
 - 16.1.8. **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** [აკადემიური/ძირითადი/დამატებითი]
 - 16.1.9. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** [უნდა მიეთითოს ქართულ და ინგლისურ ენებზე ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად.]
 - 16.1.10. **კვალიფიკაციის კოდი:** [უნდა მიეთითოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად.]
 - 16.1.11. **სწავლების ენა:** [სწავლების ენა არის ქართული. უცხოურ ენაზე დასაშვებია საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სასწავლო კომპონენტის შეთავაზება, მისი გავლის წინაპირობად უცხოური ენის ფლობის დადგენა და/ან გამოსაყენებელი ლიტერატურის უცხოურ ენაზე მითითება. საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ უცხოურ ენაზე წარმართვა დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით, ან შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

- სამინისტროსთან. საგანმანათლებლო პროგრამის უცხოურ ენაზე შეთავაზების შემთხვევაში უნდა მიეთითოს შესაბამისი ენა/ენები.]
- 16.1.12. **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** [უნდა მიეთითოს პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტების ოდენობით შესაბამისი საფეხურისათვის დადგენილი მოცულობის თანახმად.]
- 16.1.13. **პროგრამის სტრუქტურა:** [უნდა აღიწეროს პროგრამის არქიტექტურა, სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების ხვედრითი წილი და ა. შ.]
- 16.1.14. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** [უნდა მიეთითოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესი, საუნივერსიტეტო წესი, ინფორმაცია ჯგუფში სტუდენტთა დასაშვები რაოდენობის შესახებ და კონკრეტული პროგრამის მოთხოვნები.]
- 16.1.15. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:** [პროგრამის მიზანი მიმართული უნდა იყოს სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე, ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ფლობის დონის განსაზღვრაზე.]
- 16.1.16. **სწავლის შედეგი:** [სწავლის შედეგი არის განაცხადი იმის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს (ცოდნა და გაცნობიერება), რისი გაკეთება უნდა შეეძლოს (ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის, კომუნიკაციის და სწავლის უნარები) და რა ღირებულებები უნდა ჰქონდეს პირს პროგრამის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგები აღიწერება ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციებით, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერისა და კონკრეტული დარგობრივი მახასიათებლის (არსებობის შემთხვევაში) შესაბამისად. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და შესაბამის დარგობრივ დოკუმენტზე დაყრდნობით, უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, ხორციელდება ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება.]
- 16.1.17. **სწავლის შედეგების რუკა:** [შეავსეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მიხედვით:

სასწავლო კურსი / მოდული /პრაქტიკა/კვლევითი კომპონენტი	კომპეტენციების ჩამონათვალი					
	ცოდნა და გაცნობიერება ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების	დასვენის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები	

სადაც აღინიშნება საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული თითოეული სასწავლო კურსის/მოდულის/პრაქტიკის/კვლევითი კომპონენტის გავლის შედეგად მისაღწევი კომპეტენციები.]

- 16.1.18. **.სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:** [უნდა მიეთითოს სწავლებისა და სწავლის რა მეთოდები გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.]
- 16.1.19. **.სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:** [უნდა მიეთითოს უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა და კონკრეტული პროგრამისათვის სპეციფიკური მოთხოვნები. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებისათვის, ასევე უნდა მიეთითოს სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების დაცვის შეფასების კრიტერიუმები.]
- 16.1.20. **.სწავლების ორგანიზების თავისებურებები** [უნდა მიეთითოს დამატებითი ინფორმაცია, რომელიც უჩვენებს პროგრამით გათვალისწინებული სწავლებისა და სწავლის პროცესის ორგანიზების თავისებურებებს.]
- 16.1.21. **დასაქმების სფერო:** [უნდა მიეთითოს კურსდამთარებულის შესაძლო დასაქმების სფერო და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.]
- 16.1.22. **ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ** [უნდა მიეთითოს

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობა, ინფორმაცია მატერიალური რესურსის შესახებ, რომელიც აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის.]

- 16.1.23. **ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ:** [უნდა მიეთითოს პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაცემები.]
- 16.1.24. **სასწავლო გეგმა:** [დანართი №2 (IBSU.R36I02I02G) შესაბამისად]
- 16.1.25. **სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები):** [თან უნდა ერთვოდეს პროგრამას.} ამასთან, სილაბუსში მითითებული უნდა იყოს სასწავლო კურსის სრული სახელწოდება, საგანმანათლებლო პროგრამა, შესაბამისი ფაკულტეტი, უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზის განყოფილების მიერ მინიჭებული სასწავლო კურსის კოდი, მისი განმახორციელებელი რექტორი, სწავლების საფეხური, სწავლების ის სემესტრი, რომლისთვისაც გათვალისწინებულია სასწავლო კურსი (შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით), სასწავლო კურსის სტატუსი (სავალდებულო ან არჩევითი), კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები, სასწავლო კურსის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლა/სწავლების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და გამოსაყენებელი ლიტერატურა. (იხ. დანართი 1)

მუხლი 17. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება

- 17.1. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტში დანერგილი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების საფუძველზე შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

მუხლი 18. საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილება

- 18.1. წინამდებარე ინსტრუქციის გათვალისწინებულის გარდა, პროგრამაში ცვლილების შეტანა ასევე შესაძლებელია სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების საფუძველზე განხორციელებული შეფასების შედეგების, მათ შორის, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა კვლევის შედეგად მიღებული შეფასებების, აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების და სხვა საფუძველზე.
- 18.2. პროგრამაში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია შესაბამისი სასწავლო სემესტრის დაწყებამდე.
- 18.3. პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ეცნობება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 18.4. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა ხდება მე-15 მუხლის 15.2.2 პუნქტით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად

მუხლი 19. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება

- 19.1. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს პროგრამის განხორციელების ისეთი რისკ-ფაქტორები, როგორცაა სათანადო ადამიანური და/ან მატერიალური რესურსის სიმცირე უნივერსიტეტში, დამსაქმებელთა და შრომის ბაზრის მოთხოვნების ცვლილებებიდან გამომდინარე სტუდენტთა არასაკმარისი ინტერესი პროგრამისადმი, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები, ბაზრის კვლევის შედეგები, სტუდენტთა დასაქმების, პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვისა და პროგრამის განსაზღვრულ ვადებში დასრულების დაბალი მაჩვენებელი, პროგრამის ფარგლებში არსებული პარტნიორული ურთიერთობების შეწყვეტა და ა.შ.

- 19.2. პროგრამის გაუქმების შესახებ პროგრამის ხელმძღვანელი, შესაბამისი კვლევისა და ანალიზის საფუძველზე, ამზადებს დასკვნას, რომელიც წარედგინება ფაკულტეტის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საბჭოს, რომელთა გადაწყვეტილების საფუძველზე, პროგრამის გაუქმების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. აღნიშნული გადაწყვეტილება ეგზავნება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს შემდგომი პროცედურების განხორციელების მიზნით.
- 19.3. თუკი გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხებიან სტუდენტები, უნივერსიტეტი ვალდებულია, უზრუნველყოს მათი შემდგომი სწავლის გაგრძელების ხელშეწყობა, შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 19.4. თუკი გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები სწავლას აგრძელებენ უნივერსიტეტის სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე, მათ მიერ გავლილი კომპონენტების თავსებადობის განსაზღვრის შემდგომ, მიმღები საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის მიზნებისათვის, შესაძლოა შემუშავდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, საჭიროების შემთხვევაში, აგრეთვე აღიარებულ იქნეს მათ მიერ გავლილი კრედიტები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 19.5. საჭიროების შემთხვევაში, გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების მობილობის ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი აწარმოებს მოლაპარაკებებს და დებს ხელშეკრულებას საქართველოს სხვა ავტორიზებულ უნივერსიტეტებთან სტუდენტებისთვის აკრედიტებულ პროგრამაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 20. დასკვნითი დებულებები

- 20.1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე.
- 20.2. დებულებაში მოცემული წესების შესრულებაზე ზედამხედველობა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

უნივერსიტეტის წესების შეუსრულებლობა დაუშვებელია. ყველა ვალდებულია იცნობდეს შხსუ-ს მიერ შემუშავებულ წესებსა და რეგულაციებს.

შხსუ ყველას თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს, განურჩევლად სქესის, რასის, ეროვნების, წარმომავლობის, რწმენის, საზოგადოებრივი სტატუსის, ფიზიკური, გონებრივი, ემოციური სხვაობისა და სწავლის განსხვავებული უნარისა.

გამოსცა:

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დავით აღმაშენებლის ხეივანი, 13 კმ., 2, 0131
თბილისი, საქართველო
www.ibsu.edu.ge
contact@ibsu.edu.ge

